სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის და საკითხების საჯარო განხილვის

ოქმი № 27

9 აპრილი, 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი№2
10:00 სთ

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

მარიკა დარჩია

გულია გოცირიძე

ანა ლაშხი

თარაშ შურღაია

კომისიის სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი ინიციატივების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბექა დავითულიანი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე რიმა ბერაძე, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი.

საკრებულოს წევრები: ლევან დარახველიძე, ლევან ჯაფარიძე, დავით უთმელიძე.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების საჯარო განხილვას ესწრებოდნენ ასევე: 1990 წლის 20 იანვრის საზოგადოების წარმომადგენლები აზერბაიჯანიდან, საქართველოს 1989 წლის 9 აპრილის საზოგადოების წარმომადგენლები და იმ

დაღუპული ქალბატონების ოჯახის წევრები და ახლობლები, რომელთა სახელებიც თბილისის ქუჩებს მიენიჭება.

თინათინ ნიბლოშვილმა მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს და სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და მათ აქტიური ჩართულობისკენ მოუწოდა, რათა ყველამ მიიღოს მონაწილეობა იმ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღებაში, რასაც დღევანდელი სხდომის დღის წესრიგი ითვალისწინებს. „ამით კიდევ ერთხელ მოხდება დეკლარირება იმისა, რომ 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა თავდადებამ შეცვალა ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორია და მოგვიტანა თავისუფლება. ამ ტრაგედიიდან 30 წლისთავზე მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ გავიხსენოთ იმ ადამიანების ღვაწლი და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ მომავალ თაობებს არ დაავიწყდეთ მათი სახელები. დღევანდელ სხდომაზე სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით ჩუღურეთის რაიონში ექვს უსახელო ქუჩას 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ექვსი ქალის სახელი მიენიჭება“- აღნიშნა თინათინ ნიბლოშვილმა.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივა სწორედ ამ ადამიანების ღვაწლის უკვდავყოფას ემსახურება. თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, თბილისის ქუჩებისთვის 9 აპრილს დაღუპული გმირების სახელების მინიჭების პროცესი რამდენიმე წლის წინ დაიწყო და მეექვსე მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში დასრულდება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას მნიშვნელოვანი ინიციატივისთვის და აღნიშნა, რომ 9 აპრილს დაღუპული გმირების სახელების მინიჭების პროცესი აუცილებლად გაგრძელდება მომავალში, ვინაიდან ამ ადამიანების თავგანწირვა დაედო საფუძვლად საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას. „9 აპრილი ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში არის ერთდროულად დიდი ტკივილი და ამავე დროს ერთიანობის და სიძლიერის სიმბოლო“- აღნიშნა გიორგი ტყემალაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები წარმოადგინა.

დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ალექსანდრე ყანჩელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მზია ჯინჭარაძის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის I ქუჩის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამუნა დოლიძის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის I ქუჩის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თინა ენუქიძის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის II ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მანანა ლოლაძის სახელის და რეხის III ქუჩის მონაკვეთისთვის მანანა ლოლაძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის შესახვევისთვის და მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ელისო ჭიპაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
6. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მახათას აღმართთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული თამარ მამულაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

კომისიის სხდომაზე საკრებულოს წევრებს და 9 აპრილს დაღუპული გმირების ოჯახის წევრებს მოუსმინეს.

როგორც მარიკა დარჩიამ აღნიშნა „ეს არის სრულიად ქართველი ხალხის ტკივილი, რომელიც არასდროს არ მოშუშდება. ჩვენი თაობა, თვითმხილველი იყო ამ ტრაგედიის და არასდროს არ დაგვავიწყდება ეს დღეები და ეს ადამიანები, ჩვენი მოქალაქეობრივი

ვალია, რომ ვეცადოთ, მომავალ თაობებს არ დავავიწყოთ მათი სახელები". მან მადლობა გადაუხადა კომისიას ნამდვილად მნიშვნელოვანი ინიციატივისთვის. მარიკა დარჩიას დაეთახმა თამარ ტალიაშვილი. მან კომისიას მადლობა გადაუხადა ძალიან მნიშვნელოვანი თემის წამოწევისთვის და აღნიშნა, რომ მნიშვნელობა არ აქვს რა დრო გაივლის, 9 აპრილი ყოველთვის იქნება ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი დიდი ტკივილის ფასად.

გულია გოცირიძემ 1989 წლის 9 აპრილს ტრაგიკული ფურცელი უწოდა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში, რამაც დასაბამი მისცა თავისუფლების და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პროცესს. ამ ადამიანებმა თავი შესწირეს საქართველოს და ჩვენი შვილების უკეთეს მომავალს.

რიმა ბერაძის განცხადებით „9 აპრილი დიდი გლოვისა და გამარჯვების დღეა თითოეული ჩვენგანისთვის. ფასდაუდებელია ამ ადამიანების, მართლაც გმირების ღვაწლი ჩვენი ქვეყნის და შვილების წინაშე, რომლებმაც თავი გასწირეს საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად. განსაკუთრებული პატივია ჩემთვის, რომ ექვსივე ქუჩა ჩუღურეთის რაიონში მდებარეობს, ხოლო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვენს შვილებს, რომლებიც ივლიან გმირების სახელობის ქუჩებში, ეცოდინებათ მათი ღვაწლის შესახებ"-აღნიშნა მან.

კომისიის სხდომას 9 აპრილს დაღუპული გმირების ოჯახის წევრები და ნათესავები ესწრებოდნენ. მათ ამ ისტორიული დღის შესახებ ისაუბრეს და არაერთი დეტალი გაიხსენეს. ცალ-ცალკე და ყველამ ერთად მადლობა გადაუხადა საკრებულოს და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას იმ გმირების ღვაწლის კიდევ ერთხელ დაფასებისთვის, რომლებმაც მართლაც სიცოცხლის ფასად მოიპოვეს თავისუფლება.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრებმა საჯარო განხილვაზე მხარი დაუჭირეს ჩუღურეთის რაიონში, ივერთუბანში, ექვსი ქუჩისთვის 9 აპრილს დაღუპული ექვსი ქალის სახელის მინიჭების გადაწყვეტილებას. ესენი არიან: მზია ჯინჭარაძე, თამუნა დოლიძე, თინა ენუქიძე, მანანა ლოლაძე, ელისო ჭიპაშვილი და თამარ მამულაშვილი.

საჯარო განხილვის დასრულების შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ტყემალაძემ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად პარლამენტის შენობასთან 9 აპრილის მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

9 აპრილი , 2019 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	თ. ნიბლოშვილი
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი